პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №**

2023 **წლის ---- დეკემბერი; ქალაქი ბათუმი**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი"-ს მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

**მუხლი 1**

ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

**მუხლი 2**

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ$^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **რამაზ ჯინჭარაძე**

**განმარტებითი ბარათი**

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ"**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დადგენილების მიღება.

**ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის N22/1423333361-14 განცხადებით მომართა შპს ,,გარდენ ქეიმ'' (ს/N445686044) და შპს ,,გუმბათი რეზიდენსმა'' (ს/N445704943) და მოითხოვა ქ. ბათუმში, დასახლება გონიოში (ს.კ. 05.36.25.229; 05.36.25.354; 05.36.25.544; 05.36.25.046; 05.36.25.287; 05.36.25.376; 05.36.25.545; 05.36.25.481; 05.36.25.482; 05.36.25.217; 05.36.25.014; 05.36.25.167; 05.36.25.720; 05.36.25.895; 05.36.25.894; 05.36.25.061; 05.36.25.722; 05.36.25.067; 05.36.29.029; 05.36.25.066; 05.36.29.634; 05.36.25.016 და 2 დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება. დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, მათში საზოგადოებრივი ობიექტებით და პარკირების ადგილებით.

საპროექტო მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს: (ს.კ. 05.36.25.229; 05.36.25.354; 05.36.25.544; 05.36.25.046; 05.36.25.287; 05.36.25.376; 05.36.25.545; 05.36.25.481; 05.36.25.482; 05.36.25.217; 05.36.25.014 და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი). ასევე, დაგეგმილია გამწვანების და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

შპს „გუმბათი რეზიდენსი'' -ს მიერ დაგეგმილი საპროექტო ობიექტის (ს/კ 05.36.25.229; 05.36.25.354; 05.36.25.544; 05.36.25.046; 05.36.25.287; 05.36.25.376; 05.36.25.545; 05.36.25.481; 05.36.25.482; 05.36.25.217; 05.36.25.014 და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი) სავარაუდო ტექნიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთების ფართობები - საერთო ფართობი: 9507,00 კვ.მ;
შპს ,,გარდენ ქეი'' -ს მიერ დაგეგმილი საპროექტო ობიექტის (ს/კ 05.36.25.167)სავარაუდო ტექნიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობები - ფართობი **4200,00** კვ.მ; ორივე შემთხვევაში ხდება დადგენილი სიმაღლის მაჩვენებლის გადამეტება 60 მეტრამდე, აღნიშნული გადამეტების საკომპენსაციოდ; თითოეული კომპანია ვალდებულია გადამეტებული მაჩვენებლის 10-10 % გადასცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**

**პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი**